

საქართველოს  
საავტორო უფლებათა ასოციაცია  
ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია

წესდება

თბილისი  
2012

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - არის ნებაყოფლობითი გაერთიანება, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში „ასოციაცია“) რომელიც შექმნილია ასოციაციაში ერთობლივი საქმიანობის მიზნით გაწევრიანებული საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების მფლობელების ან მათი მემკვიდრეების/უფლებამონაცვლელების საერთო ინტერესების დაცვისა და წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
- 1.2. ასოციაცია არსებობს, იმართება და ფუნქციონირებს ასოციაციის წესდების, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.
- 1.3. ასოციაციის სრული სახელწოდებაა - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, შემოკლებით - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია. ინგლისურ ენაზე - Georgian Copyright Association - Collective Management Organization - შემოკლებით - GCA.
- 1.4. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია არის ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აგვისტოს N2/9-152 დადგენილებით რეგისტრირებული კავშირის - საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების (GESAP) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის N585 გადაწყვეტილებით ხელახლა რეგისტრირებული კავშირის საქართველოს ავტორთა საზოგადოების (სას) - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია N1-ის უფლებამონაცვლე.
- 1.5. ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N123
- 1.6. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო ასოციაციის რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე ქმნის არასრულ სამეურნეო წელს.
- 1.7. ასოციაცია წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.
- 1.8. ასოციაცია რეგისტრაციის შემდეგ იძენს იურიდიული პირის სტატუსს და უფლებამოსილებას დაკავებული იყოს ამ წესდებით განსაზღვრული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით. ასოციაციას აქვს საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. შესაძლოა ჰქონდეს ბეჭედი. ასოციაციას უფლება აქვს შეიძინოს სხვადასხვა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, გამოვიდეს თავისი სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. ასოციაციას აქვს სრული დამოუკიდებლობა შიდა ორგანიზაციის, საკუთარი სახსრებისა და ქონების განკარგვის საკითხებში.
- 1.9. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მოქმედებს ტერიტორიული პრინციპის შეუზღუდავად.

## 2. ასოციაციის დამფუძნებლები

- 2.1. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აგვისტოს N2/9-152 დადგენილებით რეგისტრირებული კავშირის-საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების (GESAP) დამფუძნებლები არიან:
  - 2.1.1. ვაჟა აზარაშვილი, დაბადებული 13.07.1936 ქ.თბილისში, პირადი პირადი N0102402646 პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. 20-ა, ბინა 33
  - 2.1.2. ნოდარ მალაზონია, დაბადებული 27.04.1929 ქ.ოზურგეთში, პირადი N01001000607 პროფესიით მხატვარი, მცხოვრები ქ.თბილისი გამრეკელის ქ. 55
  - 2.1.3. ელგუჯა შაფათავა, დაბადებული 27.01.1951 ქ.თბილისში, პირადი N01020004601, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, მასწავლებელი, საავტორო სამართალმცოდნე, მცხოვრები ქ.თბილისი, დელისის III ქუჩა, კორპუსი 2, ბინა 7
  - 2.1.4. ანზორ ქუთათელაძე, დაბადებული 105.01.1933 ქ.თბილისში, პირადი N01020951804 პროფესიით რეჟისორი, მცხოვრები ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. 75, კორპ. 4, ბინა 34
  - 2.1.5. გიორგი გუნია, დაბადებული 19.10.1938 ქ.თბილისში, პირადი N 01017006035 პროფესიით თეატრალური მხატვარი, მცხოვრები ქ.თბილისი გ.ტაბიძის ქ. 24
  - 2.1.6. ჯუმბერ ამანათაშვილი, დაბადებული 06.02.1966 ქ.თბილისში, პირადი N01014001463 პროფესიით საესტრადო სიმღერების ავტორ-შემსრულებელი, მცხოვრები ქ.თბილისი მოსკოვის გამზ. 9/14
  - 2.1.7. თამარ (თამუნა) ჯოხაძე, დაბადებული 06.09.1973 ქ.თბილისი, პირადი N01024006637 პროფესიით საესტრადო სიმღერების ავტორ-შემსრულებელი, მცხოვრები ქ.თბილისი ა.წერეთლის გამზ. 103
  - 2.1.8. თინათინ ჰაინე, დაბადებული 20.07.1941 ქ.თბილისში, პირადი N01030004393 პროფესიით ფერმწერი, სცენოგრაფი, ხელოვნებათმცოდნე, მცხოვრები ქ.თბილისი ბუხაიძის მე-2 შეს.16
  - 2.1.9. მარინა მგალობლიშვილი, დაბადებული 18.01.1949 ქ.თბილისში, პირადი N01020679231 პროფესიით საავტორო სამართალმცოდნე, ლიტერატორი, მთარგმნელი, მცხოვრები ქ.თბილისი გალაკტიონის ქ. 3/5
  - 2.1.10. გიორგი მარგველაშვილი, დაბადებული 25.03.1958 ქ.ქუთაისში, პირადი N01030007587 პროფესიით რეჟისორი,

- მცხოვრები ქ.თბილისი, ნინოშვილის ქ. 20/45
- 2.1.11. ჯემალ კერესელიძე, დაბადებული 23.05.1943 ქ.ქუთაისში, პირადი N01005005798 პროფესიით ფილოლოგი-ჟურნალისტი, მცხოვრები ქ. თბილისი დგებუადის ქ. 1
  - 2.1.12. ნუგზარ ვაწაძე, დაბადებული 19.06.1937 ქ.თბილისში, პირადი N01020006349 პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ.თბილისი სააკაძის ქ. 11-ა
  - 2.1.13. ბაადურ (ბაჩა) მაღაზონია, დაბადებული 04.12.1965 ქ.თბილისში, პირადი N01007014832 პროფესიით მხატვარ-დიზაინერი, ფოტოგრაფიკოსი, მცხოვრები ქ.თბილისი გამრეკელის ქ. 55
  - 2.1.14. გიორგი მაჭარაშვილი, დაბადებული 04.11.1956 ქ.ბათუმში, პირადი N01009007661 პროფესიით მსახიობ-შემსრულებელი, მუსიკალური ნაწარმოებების (საესტრადო) ავტორი, მცხოვრები ქ.თბილისი ვჟა-ფშაველას III კვ., 25-ე კორპ., ბინა 46
  - 2.1.15. მერაბ მერაბიშვილი, დაბადებული 20.09.1946 ქ.თბილისში, პირადი N01024027011 პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის 41
  - 2.1.16. ლალი სულთანაშვილი, დაბადებული 1948 წელს ქ.თბილისში, პირადი N01017043330 პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, მცხოვრები ქ.თბილისი ვერცხლის ჩიხი 29
  - 2.1.17. ალექს ჭიკაძე, დაბადებული 20.08.1956 ქ.თბილისში, პირადი N01019005910 პროფესიით ბიოლოგი, ბ.მ.კ., ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, მცხოვრები ქ.თბილისი ტორთმელიძის 10
  - 2.1.18. თეიმურაზ ხუციშვილი, დაბადებული 25.02.1948 ქ.თბილისში, პირადი N01024614337 პროფესიით მხატვარ-დიზაინერი, მცხოვრები ქ. თბილისი პირველი ხეივანის ქ. 7
  - 2.1.19. ომარ მინდორაშვილი, დაბადებული ქ.თბილისში 27.03.1943, პირადი N01030010558 პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ.თბილისი ი.ჯავახიშვილის ქ. 44
  - 2.1.20. ანზორ ერქომაიშვილი, დაბადებული 10.08.1940 ქ.ბათუმში, პირადი N01015001522 პროფესიით საგუნდო-დირიჟორი, მცხოვრები ქ.თბილისი აბანოს ქ. 21
  - 2.1.21. თეიმურაზ თარიმანიშვილი, დაბადებული 05.01.1954 საგარეჯოს რ-ნი სოფ. ანთოკი, პირადი N01020011177 პროფესიით იურისტი, მცხოვრები ქ.თბილისი გორდის ქ. 23
  - 2.1.22. ნაწული ყორიალი, დაბადებული 16.08.1955 თიანეთის რ-ნი სოფ. მაგრანეთში, პირადი N01023009338, პროფესიით მხატვარი-მოქანდაკე, მცხოვრები ქ.თბილისი გურამიშვილის გამზ. 34, ბინა 7
  - 2.1.23. ზურაბ გვიშიანი, დაბადებული 18.11.1963 ქ.თბილისში, პირადი N01007002713 პროფესიით ინჟინერი ტ.მ.დ. დოცენტი, მცხოვრები ქ.თბილისი აკ.წერეთლის 101-58
  - 2.1.24. ლიანა ჩადუნელი, დაბადებული 22.12.1964 ქ.კასპში, პირადი N01032540598 პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი, მცხოვრები ქ.თბილისი ჯანაშიას ქ. 10
  - 2.1.25. ლიდა ქათამაშვილი, დაბადებული 20.04.1951 ქ.თბილისში, პირადი N01019003684 პროფესიით ბუღალტერი, მცხოვრები ქ.თბილისი თემქის დას. მე-4 მ/რ-ნი მე-8 კორპ. ბინა 82
  - 2.1.26. სიმონ ცინცაძე, დაბადებული 20.10.1939 ქ.თბილისში, პირადი N01038184880 პროფესიით მუსიკათმცოდნე, მცხოვრები ქ.თბილისი ლ.ასათიანის ქ. 66

### **3. ასოციაციის მიზნები**

- 3.1. ასოციაციის მიზნებია:
  - 3.1.1. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა განხორციელება და დაცვა.
  - 3.1.2. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა არალეგალური გამოყენების აღკვეთა და შემდგომი პრევენცია.
  - 3.1.3. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის და გამოყენების ერთიანი სისტემის დანერგვა და დაგეგმვის პოლიტიკის განვითარება.
  - 3.1.4. საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ავტორებთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების ან მათი მემკვიდრეების საავტორო ან/და მომიჯნავე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა.
  - 3.1.5. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების სფეროში ეფექტიანი მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
  - 3.1.6. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების სფეროში ჩართული სუბიექტებისთვის (მოსარგებლებებისათვის) გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
  - 3.1.7. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების ბაზრის და სადისტრიბუციო ქსელის განვითარების ხელშეწყობა.
  - 3.1.8. ასოციაციის მიზნების მისაღწევად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობით კომერციული და არაკომერციული პროექტების და ცალკეული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

### **4. ასოციაციის საქმიანობა**

- 4.1. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ასოციაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:
  - 4.1.1. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით ასეთი უფლებების მფლობელებთან ან მათ მემკვიდრეებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

- 4.1.2. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით უცხოეთის ქვეყნების მსგავს ან ანალოგიურ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება და წარმომადგენლობის განხორციელება.
- 4.1.3. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის პროცესში ასოციაციის რეპერტუარში შემავალი ყველა ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების დაცვის ობიექტის გამოყენებაზე ნების დართვა ან ლიცენზიის გარეშე მათი გამოყენების აკრძალვა.
- 4.1.4. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლებთან ხელშეკრულებების/შეთანხმებების გაფორმება და ლიზენციების გაცემა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.1.5. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისაგან მიღებული უფლებამოსილების შესაბამისად მფლობელების ან მათი მემკვიდრეების კუთვნილი ჰონორარების შეგორება და მფლობელებისთვის განაწილება.
- 4.1.6. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების (სარგებლობის) მონიტორინგის წარმოება, ინფორმაციის სისტემატიზირება, მონაცემთა ბაზების შექმნა და ინფორმაციაზე ხალმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- 4.1.7. დაინტერესებული პირებისთვის საქართველოში საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.
- 4.1.8. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისა და მოსარგებლებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- 4.1.9. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების დაცვა უფლებების არალეგალური გამოყენების დროს, მათ შორის სასამართლოს ყველა ინსტანციაში წარმომადგენლობის განხორციელება.
- 4.1.10. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისა და მოსარგებლებისთვის უფლებების რეალიზაციასა და შექმნაში დახმარება, როგორც საქართველოში, ისე საზღვრგარეთ.
- 4.1.11. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებაში ხელშეწყობა.
- 4.1.12. საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება.
- 4.1.13. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა შესახებ სამეცნიერო და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება.
- 4.1.14. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა სფეროში მომუშავე სპეციალისტების საქმიანობის ხელშეწყობა.
- 4.1.15. საგამომცემლო და ბეჭდვითი საქმიანობა.
- 4.1.16. სამუშაო შეხვედრების, თემატური სემინარებისა და დისკუსიების ორგანიზება.
- 4.1.17. კულტურულ-საგანმანათლებლო, მეცნიერული და შემეცნებითი პროგრამების განხორციელება.
- 4.2. წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება და კომერციულ პროექტებში მონაწილეობა.
- 4.3. სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ცვლის ასოციაციის მიზნებს და აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

**5. ასოციაციის წევრობა**

- 5.1. ასოციაციის წევრობა არის პირადი, ინდივიდუალური ხასიათის უფლება, რომელიც არ ექვემდებარება მემკვიდრეობით ან მინდობილობით გადაცემას.
- 5.2. ასოციაციის წევრები შეიძლება იყვნენ:
  - 5.2.1. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები, ქმედუნარი ფიზიკური ან უფლებაუნარიანი იურიდიული პირები, ან მათი მემკვიდრეები/უფლებამონაცვლეები რომლებმაც განაცხადეს ასოციაციისათვის თავისი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით გადაცემის თანხმობა, აღიარებენ ასოციაციის წესდებებს, იზიარებენ მის მიზნებსა და ამოცანებს, აქვთ სურვილი და შესაძლებლობა ხელი შეუწყონ მათ განხორციელებას.
- 5.3. ასოციაციაში წევრობის პირობას წარმოადგენს უფლების მფლობელის განცხადება წევრად მიღებაზე და მასსა და ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქონებრივ უფლებათა კოლექტიური მართვის წესით გადაცემის თაობაზე.
- 5.4. ასოციაციაში წევრად მიღება ხდება ასოციაციის გამგეობის მიერ.
- 5.5. ასოციაციას ჰყავს შემდეგი კატეგორიის წევრები:
  - 5.5.1. ნამდვილი წევრი - ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ფლობს საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებებს. ნამდვილ წევრს წევრთა საერთო კრებაზე აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ნამდვილ წევრს ევალება დაწესებული საწევრო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა.
  - 5.5.2. საპატიო წევრი - წევრი, რომელიც დაინტერესებულია ასოციაციის მიზნების მიღწევით, აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება და დამსახურება საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა სფეროში. საპატიო წევრს წევრთა საერთო კრებაზე აქვს სათათბირო ხმის უფლება, მაგრამ არ მონაწილეობს კენჭისყრაში. საპატიო წევრი თავისუფლდება საწევრო შენატანის გადახდისგან.
  - 5.5.3. კორპორაციული წევრი - ასოციაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს. კორპორაციული წევრი თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს წევრთა საერთო კრებაზე გამართულ კენჭისყრაში

და აქვს ერთი ხმის უფლება. კორპორაციულ წევრს ევალება დაწესებული საწევრო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა.

- 5.6. ასოციაციის დამფუძნებლები სარგებლობენ ნამდვილი წევრის სტატუსით და გააჩნიათ იგივე უფლება-მოვალეობები, რომლებიც მინიჭებული აქვთ ასოციაციაში ნამდვილი წევრის სტატუსით გაწევრიანებულ პირებს.
- 5.7. ნამდვილი წევრის საპატიო წევრად არჩევის შემთხვევაში, იგი კარგავს ნამდვილი წევრის სტატუსს და შესაბამისად - ხმის უფლებას.
- 5.8. ასოციაციის ნამდვილი და კორპორაციული წევრის სტატუსის მისაღებად საჭიროა გამგეობის წევრთა ხმების არანაკლებ ორი მესამედი, საპატიო წევრის საკითხი კი წყდება გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობით.
- 5.9. ასოციაციის წევრობის კანდიდატმა ასოციაციისთვის მისაღები ფომით უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ:
  - 5.9.1. არის საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა დაცვის და განვითარების სრული და განუხრელი მხარდამჭერი.
  - 5.9.2. აქვს შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება ან ინტერესი საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა დაცვასთან და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში.
  - 5.9.3. არის საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული, პოლიტიკურად და სოციალურად მდგრადი ეკონომიკის მხარდამჭერი.
- 5.10. ასოციაციის წევრის უფლებებია:
  - 5.10.1. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ასოციაციის წევრთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა.
  - 5.10.2. კენჭისყრაში მონაწილეობის შემთხვევაში - ასოციაციის მართვის ორგანოების არჩევა და ასეთ ორგანოებში არჩევის შესახებ საკუთარი კანდიდატურის დაყენება.
  - 5.10.3. ასოციაციისგან კონსულტაციების მიღება და დარღვეული საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების დაცვა.
  - 5.10.4. ასოციაციისგან ხელშეწყობის მიღება საზღვარგარეთის პარტნიორებთან კონტაქტების დამყარებასა და მათთან მოლაპარაკების პროცესში.
  - 5.10.5. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებებით სარგებლობისათვის კუთვნილი ჰონორარის მიღება.
  - 5.10.6. კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით ასოციაციის სხვადასხვა პროგრამებში და ღონისძიებებში მონაწილეობა.
  - 5.10.7. ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.
  - 5.10.8. ასოციაციის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების, აუდიტის დასკვნების და სხვა ინფორმაციის გაცნობა.
  - 5.10.9. ასოციაციიდან ნებაყოფლობით გასვლა და წევრობის შეწყვეტა ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით.
- 5.11. ასოციაციის წევრის მოვალეობაა:
  - 5.11.1. ასოციაციის წესდების დაცვა.
  - 5.11.2. ასოციაციის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება.
  - 5.11.3. საკუთარი საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების ამ ასოციაციის მეშვეობით განხორციელება.
  - 5.11.4. ასოციაციის რეპუტაციის, ავტორიტეტის და ქონების დაცვა.
  - 5.11.5. ასოციაციის მიზნების და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა.
  - 5.11.6. საწევრო შენატანის გადახდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 5.12. ასოციაციის წევრს ეკრძალება:
  - 5.12.1. იყოს რომელიმე სხვა საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ორგანიზაციის, ან ასოციაციის წევრი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც გააჩნია იგივე ან მსგავსი მიზნები და ფუნქციები.
  - 5.12.2. ასოციაციის სახელით საქმიანი ურთიერთობის დამყარება პირადი ინტერესებით დაკავშირებულ ნებისმიერ პირთან.
- 5.13. ასოციაციის წევრს შეიძლება ჰქონდეს კანონმდებლობიდან, ამ წესდებიდან და ასოციაციის შიდა რეგულაციის დოკუმენტებიდან, აგრეთვე ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სხვა უფლებები და მოვალეობები.
- 5.14. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
  - 5.14.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე.
  - 5.14.2. სასამართლოს მიერ მისი ქმედუწუნაროდ ცნობის შემთხვევაში.
  - 5.14.3. გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში.
  - 5.14.4. საწევროს შენატანის არსებობისას, გამგეობისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში. კორპორაციული წევრის შემთხვევაში - მისი ლიკვიდაციისას.
  - 5.14.5. ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ წევრის ქმედება არ შეესაბამება წესდების მოთხოვნებს და/ან ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, აგრეთვე ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს.
  - 5.14.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

- 5.15. უფლებამოსილების შეწყვეტისას:
- 5.15.1. წევრმა უნდა უზრუნველყოს ამ წესდებით და ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულება.
- 5.15.2. წევრს უფლება აქვს მოახდინოს ასოციაციისაგან საბოლოო ანგარიშსწორება და მიიღოს კუთვნილი ჰონორარი.
- 5.15.3. წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ასოციაციისადმი შემდგომი ფინანსური პრეტენზიები.
- 5.15.4. წევრს არა აქვს უფლება მოითხოვოს ასოციაციის ქონება, ან მისი ნაწილი, რომელიც მან გადასცა ასოციაციას.
- 5.15.5. წევრს უფლება აქვს განმეორებით მოითხოვოს ასოციაციაში გაწევრიანება, ან ითხოვოს ასოციაციის მიერ მისი კუთვნილი ჰონორარების შეგროვება.

**6. ასოციაციის საერთო კრება**

- 6.1. ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება.
- 6.2. საერთო კრებას იწვევს ასოციაციის გამგეობა წელიწადში ერთხელ მაინც. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას რიგგარეშე საერთო კრება.
- 6.3. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის, გამგეობის ან ასოციაციის წევრთა ერთი მეთედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. რიგგარეშე საერთო კრება იმართება ასეთი მოთხოვნის თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა.
- 6.4. საერთო კრებას თავმჯდომარეობს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ასევე ნიშნავს კრების მდივანს.
- 6.5. საერთო კრების ჩატარების და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი.
- 6.6. საერთო კრება გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი.
- 6.7. საერთო კრების გადაწყვეტილება უნარიანია შემთხვევაში ორი კვირის ვადაში ინიშნება განმეორებითი კრება, რომელიც გადაწყვეტილება უნარიანია კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.
- 6.8. საერთო კრების მოწვევის შესახებ, დღის წესრიგის მითითებით ასოციაციის წევრებს ეცნობებათ კრების ჩატარებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობით ან ბეჭდვით ორგანოში ან/და ასოციაციის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებით.
- 6.9. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრის ჩატარებისათვის საერთო კრებაზე მიიღება ცალკე გადაწყვეტილება.
- 6.10. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის, წესდების შეცვლის, ასევე ასოციაციის მიზნების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით. ცალკეულ საკითხებზე შეიძლება დადგინდეს ოქნას გადაწყვეტილების მიღების სხვა რეჟიმიც.
- 6.11. საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:
  - 6.11.1. ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.
  - 6.11.2. ასოციაციის წესდების მიღება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.
  - 6.11.3. ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის, ასევე ასოციაციის მიზნების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
  - 6.11.4. ასოციაციის გამგეობის და თავმჯდომარის არჩევა, აგრეთვე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით.
  - 6.11.5. ასოციაციის შემადგენლობაში ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის შექმნა-გაუქმება.
  - 6.11.6. ასოციაციის თავმჯდომარის, გამგეობის, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშების მოსმენა.
  - 6.11.7. ასოციაციის საფინანსო საქმიანობის ამსახველი გასული წლის ანგარიშის დამტკიცება.
  - 6.11.8. სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.

**7. ასოციაციის გამგეობა**

- 7.1. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ფუნქციებს.
- 7.2. გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ღია ან ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
- 7.3. ასოციაციის გამგეობა შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან.
- 7.4. გამგეობის წევრობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს ასოციაციის წევრთა არანაკლებ ერთი მეთედისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს ან/და ასოციაციის კორპორაციულ წევრს.
- 7.5. გამგეობის წევრი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით.
- 7.6. გამგეობის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი გამგეობის არჩევამდე.
- 7.7. გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი. (მოწვეული პირი)
- 7.8. გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრი,

გარდა გამგეობის თავმჯდომარისა, რომელიც ავტომატურად წარმოადგენს ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს წევრს და არის მისი აღმასრულებელი მდივანი.

- 7.9. ახლად არჩეული გამგეობა პირველ სხდომას მართავს არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში.
- 7.10. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ და მოიწვევა გამგეობის წევრის ან ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით.
- 7.11. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
- 7.12. გამგეობის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
- 7.13. გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება დადგენილების სახით, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე.
- 7.14. საერთო კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ასოციაციის გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:
  - 7.14.1. ასოციაციის შიდა პროცედურული სახელმძღვანელოების/დებულებების და სიმბოლიკის დამტკიცება.
  - 7.14.2. ასოციაციის წლიური საფინანსო გეგმის და ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება.
  - 7.14.3. წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის და წევრის გარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.
  - 7.14.4. საწევრო შენატანის პერიოდულობის და ოდენობის დადგენა.
  - 7.14.5. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით სტრუქტურული ქვედანაყოფების, ფილიალების, რეგიონალური ოფისების, წარმომადგენლობების, სააგენტოების (მათ შორის საერთაშორისო) შექმნა/გაუქმება.
  - 7.14.6. ასოციაციის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნის (დაფუძნების) და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.
  - 7.14.7. ასოციაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით მიზნობრივი კომისიების შექმნა.
  - 7.14.8. ასოციაციის სპეციალური ფონდების შექმნა.
  - 7.14.9. მოსარგებლების მიერ საავტორო ან/და მომიჯნავე უფლების გამოყენებისათვის სალიცენზიო პირობების შემუშავება და გადასახდელი ჰონორარის კონკრეტული ოდენობის (ტარიფი) დადგენა.
  - 7.14.10. შეგროვებული ჰონორარების საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს შორის განაწილების და გადახდის წესის განსაზღვრა.
  - 7.14.11. ასოციაციის თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა შრომის ანაზღაურების სისტემის განსაზღვრა.
  - 7.14.12. ასოციაციის ფინანსური და აუდიტის ანგარიშების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში ასოციაციის საერთო კრებისთვის რეკომენდაციების წარდგენა.
  - 7.14.13. ასოციაციის წევრთა საერთო კრების მოწვევა, კრების დღის წესრიგის დამტკიცება.
  - 7.14.14. ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა.
  - 7.14.15. სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.
- 7.15. გამგეობის სხდომებს წარმართავს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის ასოციაციის თავმჯდომარე. იგი შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს, ზედამხედველობს გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და ახდენს გამგეობის წევრთა კოორდინირებას.
- 7.16. ასოციაციის თავმჯდომარეს მინიჭებული აქვს აღმასრულებელ-განმკარგულებელი უფლებამოსილება, იგი წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- 7.17. ასოციაციის თავმჯდომარე არის ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი.
- 7.18. თავმჯდომარეს გამგეობის რიგებიდან ირჩევს წევრთა საერთო კრება 4 (ოთხი) წლის ვადით, ღია ან ფარული კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
- 7.19. ასოციაციის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი (მოწვეული პირი).
- 7.20. თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.
- 7.21. ასოციაციის თავმჯდომარის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:
  - 7.21.1. წესდებით დადგენილი მიზნების მისაღწევად ასოციაციის საქმიანობის გამჭვირვალედ და ეფექტიანად წარმართვა.
  - 7.21.2. სტრატეგიული გეგმების შემუშავება და ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.
  - 7.21.3. ასოციაციის წლიური ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და გამგეობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.
  - 7.21.4. ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა აქტივების მართვა-განკარგვა და მათი წესდების შესაბამისად გამოყენების უზრუნველყოფა.
  - 7.21.5. ასოციაციის ხარჯების და სხვადასხვა პროექტების ბიუჯეტების მონიტორინგი.
  - 7.21.6. სესხების/კრედიტების აღება.
  - 7.21.7. ბანკებთან და/ან ფინანსურ ინსტიტუტებთან საგარანტიო ხელშეკრულების დადება და საჭიროების შემთხვევაში გარანტიის უზრუნველსაყოფად ასოციაციის კუთვნილი დეპოზიტების, ნაშთების და სხვა აქტივების დაგირავება ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვა.
  - 7.21.8. ასოციაციის შიდა პროცედურული სახელმძღვანელოების/დებულებების პროექტების შემუშავება და

გამგეობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

- 7.21.9. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და გამგეობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.
- 7.21.10. ასოციაციის თანამშრომლების სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან გათავისუფლება.
- 7.21.11. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ფილიალების, რეგიონალური ოფისების, წარმომადგენლობების, სააგენტოების (მათ შორის საერთაშორისო) ხელმძღვანელ(ებ)ის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.
- 7.21.12. ასოციაციის მიზნობრივი კომისიების ხელმძღვანელ(ებ)ის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.
- 7.21.13. ასოციაციის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.
- 7.21.14. ასოციაციის თანამდებობრივი განაკვეთების, დანამატების და სარგოების, პრემიების და მასტიმულირებელი ხასიათის სხვა ღონისძიებების სტრუქტურის და ოდენობის დადგენა.
- 7.21.15. ასოციაციის სხვადასხვა პროგრამების დაფინანსების ოდენობის, მიზნობრივი ფონდების შექმნის, გრანტების მიღებისა და გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება.
- 7.21.16. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებთან ასოციაციაში გაწევრიანების და ჰონორარის შეგროვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება.
- 7.21.17. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მოსარგებლეებისთვის სალიცენზიო შეთანხმებების ტიპობრივი ფორმების დამტკიცება.
- 7.21.18. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებებით სარგებლობის ყველა სახის ლიცენზიის გაცემა.
- 7.21.19. ასოციაციის სახელით ყველა სხვა სახის ხელშეკრულების დადება.
- 7.21.20. ასოციაციის ინტერესებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნების ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა.
- 7.21.21. სხვა ფუნქციების განხორციელება, რომლებიც ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.
- 7.22. ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ბრძანების სახით.
- 7.23. გამგეობის წევრს და ასოციაციის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება:
  - 7.23.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე.
  - 7.23.2. სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში.
  - 7.23.3. გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში.
  - 7.23.4. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში.
  - 7.23.5. ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თუ იგი უხეშად არღვევს წესდების მოთხოვნებს და ზიანს აყენებს ასოციაციის საქმიანობას ან მის მიზნებს.
- 7.24. გამგეობის წევრის მიერ გამგეობის სხდომებზე სისტემატურად არდასწრების ან გამგეობის საქმიანობის შეფერხების შემთხვევაში გამგეობას, ხმათა უმრავლესობით, უფლება აქვს დააყენოს ასეთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი რიგგარეშე საერთო კრებაზე.
- 7.25. ასოციაციის გამგეობის წევრთა ერთამდე შემცირების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება ასეთი ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, რომელზეც აირჩევა ახალი გამგეობა.
- 7.26. ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წესდებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.
- 7.27. ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, რომელზეც აირჩევა ახალი თავმჯდომარე.

## **8. საბჭოები/კომისიები**

- 8.1. ასოციაციის მართვის ეფექტურობის მიზნით, ასოციაციის წევრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიქმნას ავტორთა და შემსრულებელთა საბჭო.
- 8.2. ასოციაციის საფინანსო საქმიანობაზე კონტროლის მიზნით ასოციაციაში შეიძლება არსებობდეს სარევიზიო კომისია.
- 8.3. ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრები აირჩევიან საერთო კრების მიერ, ასოციაციის წევრი საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების შემადგენლობიდან.
- 8.4. ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის სტრუქტურა, დაკომპლექტების წესი და საქმიანობის მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის საერთო კრების მიერ.
- 8.5. ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრების შრომა არ ანაზღაურდება.
- 8.6. ასოციაციის წესდების მოთხოვნათა შესრულების და დასახული მიზნების მიღწევის გაადვილების მიზნით ასოციაციაში, საქმიანობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით, გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სპეციალური, მიზნობრივი კომისიები, რომელიც შეიძლება დაკომპლექტდეს, როგორც საბჭოს წევრების,



- ასევე მოწვეული პირებისაგან.
- 8.7. კომისიების დაკომპლექტების წესს, მათ სტრუქტურას და საქმიანობის მიმართულებებს ადგენს გამგეობა, რომელიც აგრეთვე აკომპლექტებს ასეთი კომისიის წევრებს.
- 8.8. კომისიები იძლევიან რეკომენდაციებს და გასცემენ დასკვნებს, როგორც ასოციაციის ტაქტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრის, აგრეთვე ცალკეული საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

## **9. ადმინისტრაცია**

- 9.1. ადმინისტრაცია შედგება ასოციაციის მიერ (მათ შორის ცალკეული პროექტების განხორციელების პროცესში) დაქირავებული პირებისაგან.
- 9.2. ადმინისტრაციის სტრუქტურას, მათი საქმიანობის მიმართულებებს, ანაზღაურების ოდენობასა და წესს განსაზღვრავს ასოციაციის თავმჯდომარე და ამტკიცებს გამგეობა.

## **10. ასოციაციის ქონება**

- 10.1. ასოციაციის ქონებას შეადგენს წესდებით განსაზღვრული საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო ძირითადი ფონდები, მათ შორის, საბრუნავი სახსრები და სარეზერვო ფონდები, ასევე სხვა მატერიალური ქონება, რომელიც ასახულია ასოციაციის ბალანსში.
- 10.2. ასოციაციის სახსრების წარმოქმნის წყაროებია:
- 10.2.1. ასოციაციის წევრთა საწევრო და ნებაყოფლობითი შენატანები.
- 10.2.2. გრანტები და საქველმოქმედო შენატანები.
- 10.2.3. ასოციაციის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.
- 10.2.4. საქართველოში და საზღვარგარეთიდან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის განხორციელების შედეგად მოსარგებლეებისაგან შეგროვებული ჰონორარები.
- 10.2.5. სხვა წყაროები, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.
- 10.2.6. ასოციაციას შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს ქონება, რომელიც ხელს უწყობს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.
- 10.2.7. ასოციაციის ქონება დატულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **11. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

- 11.1. ასოციაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზით.
- 11.2. ასოციაციის ლიკვიდაცია შესაძლებელია:
- 11.2.1. ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თუ მას ხმას მისცემს წევრთა საერთო რაოდენობის ოთხი მეხუთედი.
- 11.2.2. ასოციაციის გაუქმების და გაკოტრების შემთხვევაში.
- 11.3. ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს ასოციაციის გამგეობა ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორები.
- 11.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ასოციაციის ქონება გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.
- 11.5. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას სასამართლოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა.

მიღებულია საერთო კრების მიერ 20.05.2012 წელს.